ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №27

21 სექტემბერი, 2023 წელი
14:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

კახაბერ ლაბუჩიძე, თინათინ ნიბლოშვილი, ზურაბ ჩიკვილაძე, ნათია მოდებაძე, ნინო კვიტაიშვილი და გიორგი შარაშიძე.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე
თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გიორგი ტყემალაძე – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
2. ნინო ვარდოსანიძე – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე;
3. გურამ ოქროპირიძე – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე;
4. ვლადიმერ ბოჟაძე – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულოს წევრი;
5. ვახტანგ მეიფარიანი – საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი;
6. ელგუჯა ბერიშვილი – საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი;
7. ქეთევან კობერიძე – საქართველოს ეროვნული ხელბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი;
8. დემიკო ლოლაძე – მწერალი, სპორტული ჟურნალისტი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. საკითხი: განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი კორესპონდენციის განხილვა (წერილი №19/032326222-03; 19.09.2023 - ჯემალ ცერცვაძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ).
მომხსენებელი: ვახტანგ მეიფარიანი
თანამდებობა: საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი

2. საკითხი: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (წერილი: №12-032326258-03; 19.09.2023).

მომხსენებელი: ლევან მიქავა

თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ ერთხმად მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარე, კახაბერ ლაბუჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა **დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხი.**

კახაბერ ლაბუჩიძემ კომისიის წევრებს გააცნო განათლებისა და კულტურის კომისიაში წარმოდგენილი წერილი, რომელიც შეეხებოდა ჯემალ ცერცვაძის მემორიალური დაფის განთავსების საკითხს. თავმჯდომარემ კომისიის წევრებსა და განმცხადებლის წარმომადგენელს განუმარტა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების სამართლებრივი პროცედურები, კერძოდ აღნიშნა, რომ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ მსჯელობს თბილისის მერიის მიერ შექმნილი კომისია. საკითხის ინიციირებისთვის დაინტერესებული პირი განცხადებით მიმართავს თბილისის მერიას. განცხადებას თან უნდა დაერთოს: სსიპ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილი, რომლითაც დასტურდება განმცხადებლის მიერ მითითებული უძრავი ნივთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის არსებობა/არარსებობა; მესაკუთრის თანხმობა; მემორიალური დაფის განთავსების შესახებ რეკომენდაცია შესაბამისი უწყებებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუ მემორიალური დაფის განთავსება მოთხოვნილია იმ შენობა/ნაგებობაზე, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, კომისიის დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში, განმცხადებელმა სამსახურში უნდა წარადგინოს არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილება.

კახაბერ ლაბუჩიძის განცხადებით, ქალაქ თბილისში, კორნელი კეკელიძის №25-ში, 1972-2019 წლებში ცხოვრობდა ღირსების ორდენის კავალერი, სპორტის ოსტატი, „სპორტის რაინდის“, საქართველოს საუკუნის სპორტსმენის“ წოდებებისა და ქ. არვადის (ა.შ.შ., კოლორადო) „საპატიო მოქალაქის“ ტიტულის მფლობელი, მსოფლიო ხელბურთის ვარსკვლავი ჯემალ ცერცვაძე. ჯემალ ცერცვაძის ოჯახის წევრების და სრულიად სახელბურთო ოჯახის მხრიდან, არაერთგზის გამოითქვა ინიციატივა ჯემალ ცერცვაძის საცხოვრებელ სახლზე მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე, თუმცა, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ პიროვნების გარდაცვალებიდან არ იყო 5 წელი გასული, შეუძლებელი იყო მემორიალური დაფის განთავსება. საზოგადოების აქტიური თხოვნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მხრიდან, 2023 წლის 25 აგვისტოს გამოიცა განკარგულება, „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ივანე მიჩურინის ქუჩის

მონაკვეთისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის ხელბურთელის ჯემალ ცერცვაძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ". სწორედ ამ ფაქტის გათვალისწინებით, ქუჩისთვის სახელის მინიჭების შემდეგ, შესაძლებელი გახდა 5 წლამდე ვადის ფარგლებში მემორიალური დაფის განთავსების საკითხზე მსჯელობა, რასაც განიხილავს თბილისის საკრებულოს განათლების და კულტურის კომისია. საბოლოო გადაწყვეტილება გადაეგზავნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ სპეციალურ კომისიას.

კახაბერ ლაბუჩიძემ აგრეთვე ისაუბრა ჯემალ ცერცვაძის ბიოგრაფიის შესახებ, კერძოდ: ჯემალ ცერცვაძე იყო თბილისის "ქარიშხალას" და სსრკ ნაკრების წევრი; სამჯერ იყო შეყვანილი მსოფლიოს ნაკრებში და ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე; 1968 წელს მსოფლიო ფესტივალის ჩემპიონი, რკინიგზელთა მსოფლიო პირველობის ვერცხლის პრიზიორი; დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოში ხელბურთის განვითარების საქმეში; გამოირჩეოდა საჯარიმო ტყორცნების განუმეორებელი ხელწერით, რის გამოც გულშემატკივრებმა "ხელბურთის პელე" შეარქვეს; ჯემალ ცერცვაძემ დააარსა მსოფლიოში პირველი ოლიმპიური რეზერვის ხელბურთელთა უნიკალური სკოლა, რომელიც მისი სახელობისაა. ჯემალ ცერცვაძე არის ღირსების ორდენის კავალერი.

კახაბერ ლაბუჩიძემ სიტყვა გადასცა საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს, ვახტანგ მეიფარიანს, რომელიც მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა კომისიას განცხადებაზე დროული რეაგირებისთვის. მისი განმარტებით, ჯემალ ცერცვაძე ქართული სპორტის და ხელბურთის ლეგენდა და სავიზიტო ბარათი იყო. ის, რომ საქართველოში ხელბურთი არსებობს ჯემალ ცერცვაძის დამსახურებაა.

დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით მოსაზრება გამოთქვეს:

გიორგი ტყემალაძემ, ნინო ვარდოსანიძემ, ვლადიმერ ბოჟაძემ, ელგუჯა ბერიშვილმა, ქეთევან კობერიძემ და დემიკო ლოლაძემ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა, რომ დიდი პატივია ჯემალ ცერცვაძის მემორიალური დაფის განთავსებასთან დაკავშირებით საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიღება. ისეთი დიდი ხელბურთელი, როგორიც ჯემალ ცერცვაძე იყო, უდავოდ იმსახურებს მისი სახელის უკვდავსაყოფად მემორიალური დაფის განთავსებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის, ნინო ვარდოსანიძის განცხადებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მხრიდან, 2023 წლის 25 აგვისტოს გამოიცა განკარგულება, „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ივანე მიჩურინის ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის ხელბურთელის ჯემალ ცერცვაძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ"; ხოლო დღეს კომისია მსჯელობს ჯემალ ცერცვაძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ. ასეთი გადაწყვეტილებები არის ძალიან კარგი გამოხატულება ადამიანის პიროვნების და მისი ღვაწლის დაფასებისთვის.

საკრებულოს წევრი ვლადიმერ ბოჟაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა, რომ სპორტის პოპულარიზაციისთვის მნიშვნელოვანია ამგვარი გადაწყვეტილებების მიღება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო აქტიურად არის ჩართული ქუჩისთვის დიდი სპორტსმენების სახელის მინიჭების პროცესში. ამგვარად,

ქალაქს, საზოგადოებას, არასდროს დაავიწყდება ასეთი დიდი სპორტსმენების სახელები. ეს არის ერთგვარი პრეცედენტი ასე მოკლე ვადაში განხორციელებულიყო, როგორც ქუჩისთვის სახელის მინიჭება, აგრეთვე მემორიალური დაფის განთავსება.

ელგუჯა ბერიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა, რომ სპორტს აქვს უნიკალური თვისება, იგი აერთიანებს ადამიანებს მათი განსხვავებული შეხედულებების მიუხედავად. დღეს კომისიის წევრები მათი განსხვავებული პოლიტიკური იდენტობის მიუხედავად ერთხმად იღებენ გადაწყვეტილებას ჯემალ ცერცვაძისთვის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ.

ქეთევან კობერიძემ მადლობა გადაუხადა პროცესში ჩართულ თითოეულ პირს და განმარტა, რომ 2017 წელს თბილისში ჩამოსული იყო ხელბურთის მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტი, რომელმაც ითხოვა ჯემალ ცერცვაძესთან შეხვედრა, როგორც „ხელბურთის პელესთან". მსოფლიომ, ჯემალ ცერცვაძის დამსახურებით გაიცნო ქართული ხელბურთი.

დემიკო ლოლაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა თითოეულ პირს დროული რეაგირებისთვის, მხარდაჭერისთვის. აღნიშნული გადაწყვეტილება პირველ რიგში ჯემალ ცერცვაძის ოჯახის წევრებისთვის არის უაღრესად მნიშვნელოვანი და სასიხარულო. ჯემალ ცერცვაძის დროს არსებული ხელბურთის გუნდი იყო საუკეთესო გუნდი, რომელთაც შეძლეს ორგზის ჩემპიონობა, სამი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედლის მოპოვება.

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად გადაწყვიტა, რომ წარმოდგენილი განცხადება დადებითი რეკომენდაციით გადაგზავნილ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურში, რათა შესაბამისმა კომისიამ უახლოეს სხდომაზე იმსჯელოს ჯემალ ცერცვაძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ წარადგინა დღის წესრიგით განსაზღვრული მეორე საკითხი: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ".

კახაბერ ლაბუჩიძემ სიტყვა გადასცა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილეს ლევან მიქავას.

ლევან მიქავას განცხადებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტობრივად მიღებული შემოსავლების გათვალისწინებით, კერძოდ: იზრდება სხვა შემოსავლების ნაწილში პროცენტებიდან მისაღები შემოსავლები 9 459,1 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო გრანტების ნაწილში უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან მიღებული გრანტები - 130,0 ათასი ლარით საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტების შემცირების ხარჯზე. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა ჯამურად იზრდება 9 459,1 ათასი ლარით და შეადგენს 1 833 083,6 ათას ლარს.

განათლებისა და კულტურის მიმართულებით არსებული საბიუჯეტო პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაფინანსებაში წარმოდგენილ ცვლილებებთან დაკავშირებით სხდომაზე განიმარტა, რომ აღნიშნული სფეროების ხელშემწყობი პროგრამებისა და ქვეპროგრამების დასაფინანსებლად ასიგნები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე:

იზრდება:

- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) - 6 000,0 ათასი ლარი;
- უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა (კოდი 07 05 01) - 100,0 ათასი ლარი;
- საკონცერტო ორკესტრი "ბიგ-ბენდი" (კოდი 08 04 01) - 10,2 ათასი ლარი;
- სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) - 3 680,0 ათასი ლარი;
- თბილისის სპორტისა და ახალგაზრდული ცენტრების ხელშეწყობა (კოდი 08 08 02) - 240,0 ათასი ლარი;
- კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 08 11 01) - 15,0 ათასი ლარი;
- კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 08 11 03) - 50,0 ათასი ლარით;
- კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 08 11 09) - 17,0 ათასი ლარი.

მცირდება:

- სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა (კოდი 08 02) - 10,2 ათასი ლარი.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის დეტალური ანალიზის შემდეგ, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის თაობაზე.

მომხრე	4
წინააღმდეგი	0
თავი შეიკავა	2 (ნინო კვიტაიშვილი, გიორგი შარაშიძე)

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით **დაადგინა:**

კომისია დადებითად აფასებს, "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

განათლების და კულტურის კომისიის თავმჯდომარე:
კახაბერ ლაბუჩიძე

ოქმის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი:

ირაკლი შამათავა
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განათლებისა და კულტურის კომისიის სამდივნოს უფროსი